საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

**ბრძანება** № MOH 7 23 00000174

ქ. თბილისი

15/05/2023 წელი

**ექთნის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ**

,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.** დამტკიცდეს ,,ექთნის პროფესიული ეთიკის კოდექსი“ თანდართული დანართის შესაბამისად.

**2.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრი
ზურაბ აზარაშვილი

# ექთნის პროფესიული ეთიკის კოდექსი

**პრეამბულა ..... 3**

**1.ზოგადი დებულებები ..... 3**

1.1. ექთნის პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანი: ..... 3

1.2. მოქმედების სფერო ..... 4

1.3. ეთიკის კოდექსის ძირითადი დებულებები: ..... 4

1.4. ექთნის პროფესიული ღირებულებები ..... 4

1.5. კონცეფციური საფუძვლები ..... 6

1.6. კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: ..... 7

**2. კერძო ნაწილი ..... 7**

2.1. ექთანი და საზოგადოება ..... 8

2.2. ექთანი და პრაქტიკა ..... 8

2.3. ექთანი და პროფესია ..... 8

2.4. ექთანი და თანამშრომლები ..... 9

**3. ეთიკის კოდექსის პრაქტიკაში განხორციელება ..... 9**

**ბიბლიოგრაფია: ..... 12**

ექთნის პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში-ეთიკის კოდექსი) შემუშავდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2020 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე განხორციელებული „ექთანთა და ბებიაქალთა პროფესიული საქმიანობის გაუმჯობესება საქართველოში, პროფესიული ლიცენზირების, მასთან დაკავშირებული უნარების სტანდარტებისა და განხორციელების ხელშეწყობით“ პროექტის ფარგლებში.

**პრეამბულა**

საექთნო საქმის საჭიროება უნივერსალურია.

ექთნებს აქვთ ოთხი ფუნდამენტური პასუხისმგებლობა:

- ჯანმრთელობის ხელშეწყობა;
- დაავადებათა პრევენცია;
- ჯანმრთელობის აღდგენა და
- ტანჯვის შემსუბუქება.

საექთნო საქმიანობისათვის ბუნებრივია პაციენტის უფლებების პატივისცემა, რაც მოიცავს კულტურალურ, სიცოცხლისა და არჩევანის გაკეთების უფლებას, ასევე ღირსებისა და პატივისცემით მოპყრობის უფლებას. საექთნო საქმე პატივს სცემს და არ იზღუდება რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

ექთნები ახორციელებენ ცალკეული ინდივიდების, ოჯახებისა და მთლიანად საზოგადოების სამედიცინო მომსახურებას და ამასთან ახდენენ საექთნო მომსახურების სხვა სერვისებთან კოორდინირებას.

ექთნები ხელს უწყობენ, იცავენ და ადვოკატირებას უწევენ პაციენტის უფლებებს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას.

ექთნის მიერ პაციენტის „ადვოკატის“ როლის შესრულება გულისხმობს პაციენტის დახმარებას არჩევანის ჩამოყალიბებაში, ამ არჩევანის პატივისცემისა და აღსრულების უზრუნველყოფაში.

ეთიკის კოდექსი აღწერს საექთნო საქმიანობაში პაციენტის უფლებების აღიარებასა და პრაქტიკაში ამ უფლებების დაცვას.

## 1.ზოგადი დებულებები

### 1.1. ეთიკის კოდექსის მიზანი:

- საექთნო პროფესიის ძირეული მორალური მოვალეობების განსაზღვრა.
- საექთნო პერსონალისათვის ეთიკური ქცევის შესახებ პროფესიულად და დამოუკიდებლად განსჯის საფუძვლების მიწოდება.
- საზოგადოებისათვის საექთნო პერსონალის მორალური ღირებულებების წარმოჩენა.
- პაციენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული უფლებების დაცვის პროფესიული პასუხისმგებლობების განსაზღვრა.
- საექთნო პრაქტიკის ეთიკურად წარმართვის გზამკვლევის ფუნქციის შესრულება.

### 1.2. მოქმედების სფერო

- ეთიკის კოდექსი არის სახელმძღვანელო, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ ღირებულებებსა და საჭიროებებზე დაფუძნებულ საქმიანობას.
- ეთიკის კოდექსით დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია, რომ ის კარგად იქნეს გაგებული და გათავისებული ექთნების მიერ, რომლებიც მას პროფესიული საქმიანობის ყველა სფეროში გამოიყენებენ.
- ეთიკის კოდექსი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტუდენტებისა და ექთნებისათვის მათი სწავლისა და პრაქტიკის განმავლობაში.

### 1.3. ეთიკის კოდექსის ძირითადი დებულებები

- საექთნო მოვლის დროს ექთანი პატივს სცემს ინდივიდის საჭიროებას, ღირებულებებსა და კულტურას, ითვალისწინებს ინდივიდის მოწყვლადობას.
- ექთანი აღიარებს საექთნო მოვლის პროცესში ინდივიდების უფლებას ინფორმირებულ არჩევანზე.
- ექთანი ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ყველა ადამიანისათვის კვალიფიციური მოვლის მიწოდებას.
- ექთანი იცავს კონფიდენციალურობას პროფესიული პრაქტიკის განმავლობაში მიღებულ ყველა ინფორმაციასთან მიმართებაში.
- ექთანს აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება.
  საექთნო მოვლის დროს ექთანი იყენებს ბიოფსიქოსოციალურ მიდგომას.

### 1.4. ექთნის პროფესიული ღირებულებები

**ღირებულება: პასუხისმგებლობა**

ექთანი ახორციელებს უსაფრთხო, სრულყოფილ, კომპეტენტურ საექთნო მოვლას, რომელიც დაფუძნებულია პროფესიულ ეთიკურ ღირებულებებზე:

- ექთანი პატივს სცემს, იცავს პაციენტის ღირსებასა და ინდივიდუალობას; ხელს უწყობს პაციენტის უფლებების დაცვას და ამ მიმართულებით ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, როდესაც საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს პრობლემის მოგვარებას, ახდენს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/ორგანოს ინფორმირებას.
- ექთანს აქვს საჭირო პროფესიული ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულება პროფესიული ფუნქციის (ჯანმრთელობის დაცვაში, სწავლებაში, მართვასა და კვლევაში მონაწილეობა) შესასრულებლად, რაც ხარისხიანი საექთნო სერვისების მიწოდების წინაპირობაა.
- ექთანი იყენებს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის მეთოდებს პაციენტზე ორიენტირებული ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად; პაციენტთან/ მომხმარებელთან კომუნიკაციის დასაწყისში ექთანი ყოველთვის წარადგენს თავს (სახელი, გვარი) და აცნობს მოვლის პროცესში მის პასუხისმგებლობებს.
- ექთანი ხელს უწყობს სამედიცინო გუნდის შეკავშირებასა და გუნდურ მუშაობას.
- ექთანი პასუხისმგებელია პროფესიული მოვალეობების სწორად შესრულებაზე. არცერთ შემთხვევაში არ იღებს მონაწილეობას ისეთ აქტივობებში, რომლებშიც კომპეტენციის ნაკლებობის გამო ვერ უზრუნველყოფს პაციენტის და/ან საკუთარ უსაფრთხოებას.
- როდესაც ექთანი თვლის, რომ კონკრეტული მოვლის განხორციელებისათვის არ აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, ის პაციენტზე ზრუნვაში ჩართავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირს.

- სამედიცინო გუნდის სხვა წევრზე მოვალეობების დელეგირების დროს ექთანი დარწმუნებული უნდა იყოს რომ ამ დავალების ხარისხიანად შესრულებისათვის მას აქვს შესაბამისი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულება.
- ექთანი თავისი ქცევით ხელს უწყობს პაციენტებს/საზოგადოებასა და ჯანდაცვის გუნდში მის მიმართ პატივისცემისა და ნდობის გაჩენას.
- პაციენტის მოვლის პროცესში ექთანს ევალება შეცდომების პრევენცია, მათი აღმოჩენა და გამოსწორება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.
- კვლევებში მონაწილეობისას ექთანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კვლევის პროექტი აკმაყოფილებს ადგილობრივ და საერთაშორისო სამართლებრივ და ეთიკურ მოთხოვნებს.
- ექთანი ცდილობს ძალადობის ყველა ფორმის აღკვეთას, ახდენს ძალადობის რისკების შეფასებასა და შემცირებას.

**ღირებულება: ავტონომიურობა**

- ექთანი აღიარებს პაციენტის ავტონომიას - უფლებას, რომ მან დამოუკიდებლად განსაზღვროს მისი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ყველა საკითხი. ამისათვის ექთანი პაციენტს მისთვის გასაგები ფორმით აწვდის ყველა საჭირო ინფორმაციას, ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში პროცესში რთავს ჯანდაცვის გუნდის სხვა წევრებს.
- საექთნო მოვლის განხორციელებისას ექთანი პაციენტისაგან იღებს ინფორმირებულ თანხმობას მკურნალობის ან მოვლის ნებისმიერი ღონისძიების გატარებამდე კანონის შესაბამისად.
- ექთანი პატივს სცემს პიროვნების გადაწყვეტილებას მისი ჯანმრთელობის/მკურნალობის შესახებ ინფორმაციის გაზიარების ხარისხისა და ამ ინფორმაციის მიმღებების შესახებ. პაციენტს მოიაზრებს სამედიცინო გუნდის უპირველეს წევრად.
- ექთანი პატივს სცემს პაციენტის გადაწყვეტილებებს, თუ მას აქვს ამისათვის საკმარისი კომპეტენცია. მკურნალობის და/ან საექთნო მოვლაზე უარის თქმის შემთხვევაში, ექთანი ცდილობს მოვლის პროცესის ადაპტირებას პაციენტის გადაწყვეტილების გათვალისწინებით და აგრძელებს მოვლას.
- ექთანი გუნდის წევრებთან ერთად აყალიბებს პაციენტისათვის ინფორმაციის, განსაკუთრებით კი ნეგატიურის, მიწოდების ფორმას და შესაძლებელია ექიმთან ერთად მონაწილეობდეს აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებაში.
- ექთანი ყურადღებას აქცევს, რომ პაციენტის ქმედუუნარობის შემთხვევაში ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არქონისას (მათ შორის ბავშვები) მისი კანონიერი წარმომადგენლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აკმაყოფილებდეს პაციენტის საჭიროებებს და არ იყოს მისთვის ზიანის მომტანი.

**ღირებულება: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და კონფიდენციალურობა**

- მკურნალობის მთელი პროცესის განმავლობაში ექთანი პაციენტს უქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს პრივატულობასა და კონფიდენციალურობას.
- ექთანი ერიდება პაციენტის აზრების, ემოციების, შეხედულებებისა და ფასეულობების განსჯას, რამაც შეიძლება იმოქმედოს მის მიმართ გამოჩენილ ყურადღებაზე.
- მოვლის პროცესში ექთანი უზრუნველყოფს პაციენტის ფიზიკურ პრივატულობას თუ პაციენტის ფიზიკური პირადი გარემოს დაცვას.
- ექთანი იცავს პაციენტთან დაკავშირებულ ინფორმაციას და იყენებს მხოლოდ იმ მიზნისათვის, რისთვისაც იყო მოწოდებული.

- ექთანი აუცილებლად ითვალისწინებს პაციენტის სურვილს ოჯახის წევრებისა და სხვა პირებისათვის მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემასთან დაკავშირებით.
- ექთანი იცავს პაციენტისგან მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას მკურნალობის დასრულების, ასევე პაციენტის გარდაცვალების შემდეგაც კი.
- ექთანი იცავს პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციის ნებისმიერი ფორმატის შენახვისა და გამოყენების წესებს.
- კონფიდენციალურობის დარღვევის ფაქტების გამოვლენისას ექთანი აფრთხილებს დამრღვევ პირს და იღებს შესაბამის ზომებს.

ღირებულება: სოციალური სამართლიანობა

- ექთანი არ ახდენს დისკრიმინაციას ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ეროვნების, წარმოშობის, ენის, კულტურის, შეხედულებების, პოლიტიკური იდეოლოგიის, რელიგიური და სარწმუნოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.
- ექთანი მიუკერძოებელია, მას აქვს ვალდებულება ყველა ადამიანს მიხედოს ერთნაირად ხარისხიანად და ამასთან იზრუნოს, რომ სხვა პროფესიონალებიც ასევე იქცეოდნენ.
- ექთანი პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და ამ მიმართულებით გადაცდომების დაფიქსირების შემთხვევაში, (განსაკუთრებით ძალადობის, შიმშილის, სასტიკი მოპყრობის და/ან ექსპლუატაციის სიტუაციაში), ახდენს მსგავს შემთხვევებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირის ინფორმირებას, დაწესებულებაში დადგენილი წესით.
- ექთანმა იცის ჯანმრთელობის სოციალური დეტერმინანტების მნიშვნელობა, ცდილობს მათ ფონზე არსებული უთანასწორობის შემცირებას.

ღირებულება: პროფესიული ვალდებულებები

- ექთანსა და ჯანდაცვის გუნდის სხვა წევრებს შორის ურთიერთობა დაფუძნებული უნდა იყოს ორმხრივ პატივისცემაზე, თანამშრომლობასა და პროფესიონალიზმზე.
- ექთანი სწავლობს პროფესიული საქმიანობის მანძილზე უწყვეტად და მუდმივად იმაღლებს კვალიფიკაციას.
- ექთანმა უნდა შეინარჩუნოს კომპეტენტურობა თავის საქმიანობაში.
- ექთანი მონაწილეობს პროფესიული საექთნო ცოდნის განვითარებაში.
- ექთანი ახორციელებს პაციენტის/ოჯახის განათლებას ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემებისა და მოვლის საკითხების გარშემო.
- ექთანი მონაწილეობს საექთნო სტანდარტების გაუმჯობესებაში.
- ექთანი თანამშრომლობს ჯანმრთელობის დაცვის სხვა პერსონალთან ისეთი პირობების შექმნის მიზნით, რომ დაცული იქნას საზოგადოების ჯანმრთელობის ყოველი მოთხოვნა. ზრუნავს საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვაზე.
- ექთანი ეწევა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ყალბი სამედიცინო ინფორმაციისა და ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციისაგან დასაცავად.
- ექთანი მოქმედებს პროფესიული პრინციპებისა და ღირებულებების შესაბამისად.

### 1.5. კონცეფციური საფუძვლები

- ეთიკის კოდექსი შემუშავებულია ექთნების საერთაშორისო საბჭოს (ICN) ეთიკის კოდექსისა და საექთნო-საბებიო პროფესიული სტანდარტების, „პაციენტის უფლებების შესახებ“ და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე.

- შემუშავების პროცესში, ეთიკის კოდექსი განხილული იქნა დაინტერესებული მხარეების - დარგობრივი პროფესიული ორგანიზაციების, საექთნო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების, ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლების წარმომადგენლების, საექთნო პერსონალის ჩართულობით.

**1.6. კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

ა) **ავტონომია პაციენტის** - პაციენტის უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ყველა საკითხი;

ბ) **ბიოფსიქოსოციალური მიდგომა** - პაციენტზე ზრუნვის დროს მისი ჯანმრთელობის ბიოსამედიცინო მახასიათებლებთან ერთად ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების გათვალისწინება;

გ) **ინფორმირებული თანხმობა** – პაციენტის ან მისი ნათესავის, ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა პაციენტისათვის საჭირო სამედიცინო ჩარევის ჩატარებაზე, მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ამ ჩარევასთან დაკავშირებული რისკის განმარტების შემდეგ;

დ) **პაციენტი** – ნებისმიერი პირი, რომელიც, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით.

ე) **პაციენტის კანონიერი წარმომადგენელი** – პაციენტის მეურვე ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი;

ვ) **სამედიცინო მომსახურება** – საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებასთან, გაუმჯობესებასთან და აღდგენასთან (ფსიქიკურ, სოციალურ, სამედიცინო და ფიზიკურ რეაბილიტაციასთან), პალიატიურ მზრუნველობასთან, პაციენტის სამედიცინო მოვლასთან, პროთეზირებასთან, პაციენტის სამედიცინო ტრანსპორტირებასთან, პაციენტის სამედიცინო განათლებასთან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზასთან, სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზასთან, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებთან და სამედიცინო დაწესებულებებში გაწეულ, სამედიცინო საქმიანობასთან დაკავშირებულ თანმხლებ მომსახურებასთან და ხორციელდება დადგენილი წესით;

ზ) **ჯანმრთელობის ხელშეწყობა (ჯანმრთელობის განმტკიცება)** - ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განსამტკიცებლად მიმართული საგანმანათლებლო,სოციალური, ეკონომიკური, გარემოს და პროფესიული ფაქტორების კომპლექსი.

**2. კერძო ნაწილი**

**ეთიკის კოდექსის ელემენტებია:**

- ექთანი და საზოგადოება.
- ექთანი და პრაქტიკა.
- ექთანი და პროფესია.
- ექთანი და თანამშრომლები.

ეს ოთხი ელემენტი მთლიანობაში ქმნის საექთნო პერსონალის ქცევის სტანდარტს.

### 2.1. ექთანი და საზოგადოება

- ექთნის ძირითადი პროფესიული პასუხისმგებლობა არის იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც საჭიროებენ საექთნო მოვლას.
- საექთნო დახმარების გაწევისას, ექთანი ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც პატივს სცემენ პიროვნების, ოჯახის და საზოგადოების უფლებებს, ღირებულებებს, წეს-ჩვეულებებსა და რწმენას.
- ექთანი უზრუნველყოფს, რომ პაციენტმა მიიღოს ზუსტი, ამომწურავი და დროული ინფორმაცია მკურნალობის შესახებ, რაზეც დაფუძნებულია მოვლაზე და მკურნალობაზე მიღებული თანხმობა.
- ექთანი იცავს პაციენტის პირად ინფორმაციას, კონფიდენციალურობას და ამ ინფორმაციას აზიარებს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში.
- ექთანი საზოგადოებასთან ერთად იზიარებს პასუხისმგებლობას საზოგადოების, განსაკუთრებით კი დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების ჯანმრთელობისა და სოციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მოქმედების დაწყებასა და მხარდაჭერაზე.
- ექთანი საქმიანობისას იცავს რესურსების განაწილების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ სერვისების ხელმისაწვდომობის, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებს.
- ექთანი ავლენს ისეთ პროფესიულ თვისებებს როგორიცაა: პატივისცემა, დროული რეაგირება, თანაგრძნობა და სანდოობა.

### 2.2. ექთანი და პრაქტიკა

- ექთანი პირადად არის პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული საექთნო პრაქტიკაზე, ასევე კომპეტენციის შენარჩუნების მიზნით უწყვეტ განათლებაზე.
- ექთანი ინარჩუნებს პირად ჯანმრთელობას, რათა საფრთხე არ შეუქმნას სხვების მოვლის განხორციელებას.
- პასუხისმგებლობის აღებისას და დელეგირებისას ექთანი აანალიზებს ინდივიდუალურ კომპეტენციებს.
- ექთანი ყოველთვის იცავს პირადი ქცევის სტანდარტებს, რაც დადებითად აისახება პროფესიაზე, აამაღლებს მისდამი საზოგადოების ნდობას.
- ექთანი არის გარანტი, რომ საექთნო მოვალეობის აღსრულებისას გამოყენებული საშუალებები და მეთოდები თავსებადია ადამიანების უსაფრთხოებას, ღირსებასა და უფლებებთან.
- ექთანი ყოველთვის ცდილობს შეინარჩუნოს პრაქტიკის ის სტანდარტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეთიკურ ქცევას და ღია დიალოგს.

### 2.3. ექთანი და პროფესია

- ექთანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლინიკური საექთნო პრაქტიკის, მენეჯმენტის, კვლევისა და განათლების მისაღები სტანდარტების განსაზღვრასა და დანერგვაში.
- ექთანი აქტიურად მონაწილეობს კვლევაზე დაფუძნებული პროფესიული ცოდნის შემუშავების პროცესში, რაც მხარს უჭერს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრაქტიკას.
- ექთანი აქტიურია ძირითადი პროფესიული ღირებულებების შემუშავებისა და შენარჩუნების საქმეში.

- ექთანი, პროფესიული ორგანიზაციის მეშვეობით, მონაწილეობს პოზიტიური პრაქტიკის დანერგვაში, საექთნო საქმიანობაში უსაფრთხო გარემოს შექმნასა და სამართლიანი სამუშაო პირობების შენარჩუნებაში.
- ექთანი იცავს გარემოს და აცნობიერებს მის გავლენას ჯანმრთელობაზე.
- ექთანი ხელს უწყობს ეთიკურ ორგანიზაციულ გარემოს და ეწინააღმდეგება არაეთიკურ პრაქტიკასა და პირობებს.

### 2.4. ექთანი და თანამშრომლები

- ექთანი ინარჩუნებს კოლეგიურ და პროფესიულ ურთიერთობას საექთნო და სხვა სფეროებში მოღვაწე თანამშრომლებთან.
- ექთანი იღებს შესაბამის ზომებს ინდივიდების, ოჯახებისა და საზოგადოების დასაცავად, როდესაც მათ ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება თანამშრომლის ან სხვა პირის მიერ.
- ექთანი იღებს შესაბამის ზომებს, რათა ხელი შეუწყოს და უხელმძღვანელოს თანამშრომლებში ეთიკური ქცევის დამკვიდრებას.

## 3. ეთიკის კოდექსის პრაქტიკაში განხორციელება

შემდეგი სქემა დაეხმარება ექთნებს ეთიკის სტანდარტების ამოქმედებაში.

ექთნებსა და ექთან-სტუდენტებს შეუძლიათ:

- სტანდარტების შესწავლა ეთიკის კოდექსის თითოეული ელემენტის შესაბამისად.
- იფიქრონ იმაზე, თუ რას ნიშნავს თითოეული სტანდარტი მათთვის და თუ როგორ შეუძლიათ გამოიყენოთ ეთიკა მათ საექთნო სფეროში: პრაქტიკა, განათლება, კვლევა ან მენეჯმენტი.
- ეთიკის კოდექსის განხილვა თანამშრომლებთან და სხვებთან.
- გამოიყენონ კონკრეტული გამოცდილება, რომ განსაზღვრონ ეთიკური დილემა და ქცევის სტანდარტები, როგორც ეს ეთიკის კოდექსშია აღწერილი.
- განსაზღვრონ თუ როგორ გადაწყვეტენ დილემებს.
- ჯგუფებში მუშაობა ეთიკური გადაწყვეტილების მიღების გარკვევისა და ეთიკური ქცევის სტანდარტებზე კონსენსუსის მისაღწევად.
- საექთნო პრაქტიკაში, განათლებაში, მენეჯმენტსა და კვლევაში ეთიკის სტანდარტების უწყვეტი გამოყენებისათვის საექთნო ეროვნულ ასოციაციასთან, თანამშრომლებთან და სხვებთან თანამშრომლობა.

| ეთიკის კოდექსის ელემენტი # 1: | | |
|---|---|---|
| ექთანი და საზოგადოება | | |
| **პრაქტიკოსი და მენეჯერები** | **პედაგოგები და მკვლევარები** | **ეროვნული საექთნო ასოციაციები** |
| ზრუნავს ადამიანის უფლებების დაცვაზე და ადამიანების ღირებულებებზე, ჩვეულებებსა და რწმენაზე. | სასწავლო გეგმაში ასახავს ადამიანის უფლებებს, სამართლიანობას, სოლიდარობას, როგორც სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის საფუძველს. | შეიმუშავებს პოზიციურ განცხადებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც მხარს უჭერს ადამიანის უფლებებსა და ეთიკურ სტანდარტებს. |
| უზრუნველყოფს უწყვეტ განათლებას ეთიკის საკითხებში. | უზრუნველყოფს სწავლებას და სწავლის შესაძლებლობებს ეთიკის საკითხებში. | ლობირებს ეთიკის კომიტეტებში ექთნების მონაწილეობას . |
| უზიარებს პაციენტს საკმარის ინფორმაციას საექთნო ან / და სამედიცინო დახმარებაზე ინფორმირებული თანხმობის და მკურნალობის არჩევის ან უარის თქმის უფლების მისაღებად. | უზრუნველყოფს სწავლებას / სწავლის შესაძლებლობებს ინფორმირებულ თანხმობაზე, კონფიდენციალურობასა და საექთნო საქმიანობის ბოროტად გამოყენების შესახებ. | უზრუნველყოფს ინფორმირებულ თანხმობასთან დაკავშირებულ ძირითადი მითითებების, შესაბამისი დოკუმენტაციისა და უწყვეტი განათლების შესაძლებლობებს |
| იყენებს ისეთ ინფორმაციულ სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ  პაციენტის კონფიდენციალურობას. | სასწავლო გეგმაში შეაქვს პროფესიული ღირებულებების ცნებები. | ითვალისწინებს კონფიდენციალურობის საკითხების შეტანის მნიშვნელობას ექთნების ეთიკის ეროვნულ კოდექსში. |
| სამუშაო ადგილზე უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად აწარმოებს მონიტორინგს | ამაღლებს სტუდენტების ცნობიერებას სოციალურ პასუხისმგებლობაზე და ეთიკური ქმედებების მნიშვნელობაზე. | ახორციელებს უსაფრთხო და ჯანმრთელი გარემოს ადვოკატირებას. |

| ეთიკის კოდექსის # 2 ელემენტი : | | |
|---|---|---|
| ექთანი და პრაქტიკა | | |
| **პრაქტიკოსები და მენეჯერები** | **პედაგოგები და მკვლევარები** | **ეროვნული საექთნო ასოციაციები** |
| აყალიბებს მოვლის სტანდარტებს და სამუშაო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მაღალი ხარისხის მომსახურებას. | უზრუნველყოფს სწავლების / სწავლის შესაძლებლობებს, რაც ხელს უწყობს ექთნების უწყვეტ პროფესიულ | უზრუნველყოფს უწყვეტი განათლების ხელმისაწვდომობას, ჟურნალების, |

| | | |
|---|---|---|
| | განათლებასა და კომპეტენციების ამაღლებას. | კონფერენციების, დისტანციური სწავლების საშუალებით და ა.შ. |
| უზრუნველყოფს პროფესიული შეფასების, უწყვეტი განათლებისა და საქმიანობის უფლების მუდმივი განახლების დანერგვას პრაქტიკაში. | ატარებს და ავრცელებს კვლევას, რომელიც აჩვენებს კავშირს უწყვეტ პროფესიულ განათლებასა და კომპეტენციის ამაღლებას შორის. | ლობირებს უწყვეტი პროფესიული განათლების შესაძლებლობებს და ხარისხის ამაღლებას. |
| აწარმოებს და წაახალისებს საექთნო პერსონალის ჯანმრთელობის მონიტორინგს. | პოპულარიზაციას უწევს პირადი ჯანმრთელობის მნიშვნელობას და წარმოაჩენს მის კავშირს სხვა ღირებულებებთან. | ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ექთნებში. ლობირებს ჯანსაღ სამუშაო გარემოს. |

| **ეთიკის კოდექსის # 3 ელემენტი:** | | |
|---|---|---|
| **ექთანი და პროფესია** | | |
| **პრაქტიკოსი და მენეჯერები** | **პედაგოგები და მკვლევარები** | **ეროვნული საექთნო ასოციაციები** |
| ადგენს საექთნო პრაქტიკის, კვლევის, განათლებისა და მენეჯმენტის სტანდარტებს. | უზრუნველყოფს სწავლების / სწავლის შესაძლებლობებს საექთნო პრაქტიკის, კვლევის, განათლებისა და მენეჯმენტის სტანდარტების დასახვისას. | თანამშრომლობს კოლეგებთან საექთნო განათლების, პრაქტიკის, კვლევისა და მენეჯმენტის სტანდარტების დასადგენად. |
| მხარს უჭერს საექთნო და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კვლევების ჩატარებას, მათ გავრცელებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. | ატარებს, ავრცელებს და იყენებს რელევანტურ კვლევას საექთნო პროფესიის წინსვლისთვის. | შეიმუშავებს საექთნო კვლევებთან დაკავშირებულ დებულებებს, სახელმძღვანელო მითითებებსა და სტანდარტებს. |
| ხელს უწყობს საექთნო ეროვნულ ასოციაციებში გაწევრიანებასა და ექთნებისათვის ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნას. | სტუდენტებში ამაღლებს ცნობიერებას პროფესიული საექთნო ასოციაციების მნიშვნელობაზე. | ლობირებს სამართლიანი სოციალური და ეკონომიკური სამუშაო პირობებს. შეიმუშავებს დებულებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს სამუშაო |

| | | |
|---|---|---|
| | | ადგილების საკითხებთან დაკავშირებით. |

| **ეთიკის კოდექსის # 4 ელემენტი:** | | |
|---|---|---|
| **ექთანი და თანამშრომლები** | | |
| **პრაქტიკოსი და მენეჯერები** | **პედაგოგები და მკვლევარები** | **ეროვნული საექთნო ასოციაციები** |
| უზრუნველყოფს ინტერდისციპლინური სპეციფიკური და საერთო ფუნქციების, ასევე გუნდში პოტენციური კონფლიქტების ამოცნობისა და კონფლიქტების მართვის სტრატეგიების თაობაზე ცოდნის ამაღლებას. | უზრუნველყოფს ჯანმრთელობის სფეროს სხვა სპეციალისტების/პროფესიონალების როლების შესახებ ცოდნის გამომუშავებას. | უზრუნველყოფს ურთიერთთანამშრომლობას საექთნო სფეროსთან დაკავშირებულ სხვა დისციპლინებთან. |
| შეიმუშავებს სამუშაო სისტემებს, რომლებიც მხარს უჭერენ საერთო პროფესიულ ეთიკურ ღირებულებებს და ქცევას. | საექთნო ეთიკის შესახებ კომუნიკაციას ამყარებს სხვა პროფესიების წარმომადგენლებთან. | აძლევს სიღრმისეულ ცოდნას ჯანმრთელობის დაცვის სხვა პერსონალის ეთიკური ღირებულებების შესახებ. |
| შეიმუშავებს სამედიცინო პერსონალის ქმედებით გამოწვეული შესაძლო ზიანის პრევენციის მექანიზმებს პაციენტის, მისი ოჯახის და საზოგადოების დასაცავად. | ასწავლის სამედიცინო პერსონალის ქმედებით გამოწვეული შესაძლო ზიანისგან პაციენტის, მისი ოჯახის და საზოგადოების დაცვის აუცილებლობის შესახებ. | აძლევს სახელმძღვანელო მითითებებს, აკეთებს განცხადებებს და აქტიურად მონაწილეობს დისკუსიებში/ფორუმებში, რომელთა მიზანია ადამიანების დაცვა სამედიცინო პერსონალისაგან მომდინარე ჯანმრთელობის შესაძლო საფრთხეებზე. |

**ეთიკის კოდექსის გავრცელება**

ეთიკის კოდექსს უნდა იცნობდეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში დასაქმებული ყველა ექთანი.
ეთიკის კოდექსი უნდა გავრცელდეს საექთნო სკოლებში სტუდენტებისთვის გასაცნობად, ასევე სხვე პროფესიონალებს შორის და საზოგადოებაში.

**ბიბლიოგრაფია:**


საქართველოს პარლამენტი. (2000). საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ. კონსოლიდირებული ვერსია 19/02/2019.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=11საქართველოს პარლამენტი. (1997). საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. კონსოლიდირებული ვერსია 16/03/2021. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=46

American Nurses Association (2001). *Code of Ethics for Nurses with Interpretative*

American Nurses Association. (2015). Code of ethics for nurses with interpretive statements. Retrieved from http://www.nursingworld.org/codeofethics

Australian Nursing and Midwifery Council (2008) *National Competency Standards for the Enrolled Nurse*, ANMC, Canberra. Available at: www.anmc.org.au. Accessed:19 March 2008.

Australian Nursing and Midwifery Council, Australian Nursing Federation, Nursing and Midwifery Board of Australia. (2005). Code of Ethics for Nurses. GPO Box 9958. Melbourne VIC 3000.

Canadian Nurses Association. (2017) Code of Ethics for Registered Nurses. Retrieved from https://www.cna-aiic.ca/-/media/cna/page-content/pdf-en/code-of-ethics-2017-edition-secure-interactive.pdf

Catalan Council of Nurses. (2013). Code of Ethics for Nurses in Catalonia. Barselona. ISBN: 978-84-616-6390-3. DL: B-23565-2013

International Council of Nurses (ICN). (2012). Code of Ethics for Nurses. Geneva, Switzerland

Nursing and Midwifery Council. (2018). The Code, Professional standards of practice and behavior for Nurses. Midwives and nursing associates. The nursing and midwifery regulator for England, Wales, Scotland and Northern Ireland. Retrieved from www.nmc.org.uk/code